

დაკვირვების ჩატარების ადგილზე მისვლისას, პირველი კითხვის (OT1) დაწყებამდე არ ამოდრათ ტელესკოპი.

(OT1) ტელესკოპი უკვე მიმართულია ცის შორეული ობიექტისაკენ. ამოიცანი ობიექტი და გააკეთე აღნიშვნა პასუხების ფურცელზე შესაბამისი ობიექტის დასახელების გასწვრივ. 10
შენიშვნა: ობიექტის ამოსაცნობად შეგიძლიათ გამოიყენოთ ნებისმიერი ხერხი. თუმცა თუ ტელესკოპს ამოდრავებთ, არავინ დაგეხმარებათ მის საწყის პოზიციაზე დაბრუნებაში.

(OT2) 5
 (OT2.1) მიმართეთ ტელესკოპი M45-სკენ. აჩვენეთ ეს ობიექტი გამომცდელს.
შენიშვნა: 1. ტელესკოპით ობიექტის ძებნისას 5 წუთის შემდეგ ყოველ გადაცილებულ წუთზე (ან მის ნაწილზე) დაგაკლდებათ 1 ქულა.
 2. შეგიფასდებათ მხოლოდ პირველი ცდა. თუ ტელესკოპის მიმართულება არასწორია, გამომცდელი თვითონ მიმართავს მას M45-სკენ ამოცანის შემდეგი პუნქტისათვის.

(OT2.2) თქვენს შემაჯამებელ პასუხების ფურცელზე ნაჩვენებია M45-ის ტელესკოპში დანახული ხედი. სურათზე გროვის შვიდი (7) ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი შეცვლილია '+' ნიშნით. შეადარე ეს სურათი ტელესკოპში დანახულს და დანომრე ვარსკვლავების შესაბამისი '+' ნიშნები 1-დან 7-მდე სიკაშკაშის კლების მიხედვით (ყველაზე ნათელი აღნიშნეთ 1-ით, ყველაზე მკრთალი 7-ით). 15

(OT3) გამომცდელი მოგცემთ მთვარის ფილტრს, ოკულარს მავთულის სანიშნით და წამზომს. მიმართეთ ტელესკოპი მთვარისაკენ. დააყენეთ ფილტრი ტელესკოპზე. მთვარის ზედაპირზე დაინახავთ რამდენიმე „ზღვას“ (იგივე დაბლობი), რომელთაც თითქმის წრიული ფორმა აქვთ. ტელესკოპის ოკულარის მავთულის სანიშნის მიმართ მთვარისა და ზღვის ჩავლის დროების , t_{Moon} და t_{MSr} -ის, გამოყენებით შეაფასეთ ქვემოთ მოცემულ სურათზე „1“-ით აღნიშნული „სიმშვიდის ზღვის“ დიამეტრის, D_{MSr} , შეფარდება მთვარის დიამეტრთან, D_{Moon} . 20

